საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

ოთხშაბათი, ნოემბრის 2 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ყრილობა

31 ოქტომბერი.

მეორე სხდომა.

იწყება დილის 12 საათზე. გრძელდება კამათი დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ, მონაწილეობენ ამხანაგები: ხოფერია, ბ.ათიანი, ს. ხუნდაძე. ბოლოს გამოდის ჯორჯიკია, რომელიც გადაღეჭილი ფრაზებით იწყებს ლაპარაკს, რომლისათვისაც თურმე ძლემდის გამოურკვეველი ყოფილა პარტიაში მომხდარი ცვლილებები მე 6 სე კონფერენციის შემდეგ. ის არ იწონებს დრ. მთავარი კომიტეტის მუშაობას და სტოვებს დარბაზს. ყრილობამ მხიარულად გაცილა იგი. კამათის დასრულების შემდეგ საპასუხო სიტყვას აძლევს მომხსენებელი, რომლის შემდეგაც ყრილობა ირჩევს სარეზოლიუციო კომისიას, რომელსაც ევალება შემდეგ სხდომაზე წარმოადგინოს შემუშავებული რეზოლიუცია დრ. მთავარი კომიტეტის შესახებ.

სხდომა სად. 3 1/2 საათზე თავდება.

მესამე სხდომა.

იწყება სად. 7 საათზე. თავმჯდომარე კითხულობს წინა სხდომაზე არჩეულ სარეზოლიუციო კომისიის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციას დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ, რომელიც ერთხმად მიღებულ იქნა და გადაეცა სარედაქციო კომისიას. შემდეგ ზუგდიდის მაზრის დელეგატების დავალებით ამხ. მ. კაკულია აცხადებს, რომ ჯორჯიკია, რომელმაც წინა სხდომაზე დასტოვა დარბაზი, ამდგილობრივ მუშაობდა როგორც მემარცხენე სოც.-ფედერალისტი, მაგრამ ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ ფრონტი შეცვლია, რაც მისი ჩვეულებაა.

ამ. ღლონტი აცხადებს, რომ მან იცოდა, რომ ჯორჯიკიას გამოყენებას ცდილობდა ყოფ. მთ. კომიტეტი, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია დრ. მთ. კომიტეტს და არც მიაჩნია საჭიროდ.—ასეთი შემოჩენილები შეიძლება კიდევ იყოს ვინმე ჩვენ ყრილობაზე, მაგრამ მათი ჩვენ არ გვეშინია. მათი გამოსვლა მათივე სკანდალი იქნება.

შემდეგ იწყება მოხსენებანი ადგილებიდან. მრავალი მხრიდან მოვისმინეთ მოხსენებანი. უჩვეულონი იყვნენ ისინი. არასდროს არ ახსოვს ჩვენი პარტიის კონფერენციებს, რომ მის დელეგატებში ერთი მაინც ყოფილიყო მთავარი კომიტეტით კმაყოფილი. დღეს აცხადებენ: „არ ყოფილა შემთხვევა, რომ დროებითი კომიტეტს პროვინციის შეკითხვა უპასუხოდ დაეტოვებინოს“.

მესამე სხდომა დასრულდა ღამის 12 საათზე.

## პარტიული ყრილობა

ამხ. თედო ღლონტის მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ.

(გაგრძელება)

1921 წლის მთელი იანვარი, როგორც 1920 წლის უკანასკნელი თვეები დახასიათდება მენშევიკების სრულის დაბნევით.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ დაინახა, რომ მის ირგვლივ დნებოდა ანტანტის ძალები, დნებოდა ანტანტის დაქირავებული კონტრ-რევოლიუციონური ბანდები, ამათ ნანგრევებზე წელგამართული, ისევ მთლიანი, რევოლიუციონური რუსეთი დგებოდა, რომელიც საქართველოს მოევლინებოდა, როგორც ძალა, რომელსაც დასჭირდებოდა ანგარიშის გაწევა.

თუ ინგლისი და საფრანგეთი არაფრით არ არის დაკავშირებული საქართველოსთან, მაგრამ მრავალი ჯარი ჩამოგვიყვანა ყველს ქალაქში, ბავშვობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ წელგამოგრებული მეზობელი რუსეთი გულგრილად შეხედავდა ჩხიკვიშვილის და ჟორდანიას ქვეყნის ფიფქლისში...

ცხოვრებაში მომხდარმა ამ ცვლილებებმა მენშევიკებს ვერაფერი დაანახვეს. პირიქით, ამ ცვლილების დროს მენშევიკური დიპლომატია ისევ „ევროპეიზმით“ გაიელინთა, წერეთელი ისევ ევროპაში გაგზავნეს, აგრეთვე ჩხენკელი, გეგეჭკორი და სხვა.

კიდევ მეტი, მთელი ნოემბერი და დეკემბერი 1920 წლისა ნამდვილი სამზადისი იყო ანტი-ანტანტური დიდი მოქმედებისა რუსეთის მხრივ ჩვენი მიმართულებით, სადაც ანტანტის მთელი გავლენა იყო დარჩენილი, მაგრამ მთელი ეს სამზადისი საქართველოს ბრძენ დიპლომატიას სრულიად გამოეპარა.

საქართველოს ჯერ შემოერტყა საბჭოთა რესპუბლიკების ალყა. მოგეხსენებათ, სპარსეთმა ინგლისს ზურგი შეაქცია და რუსეთის ორიენტაცია მიიღო, ოსმალეთში ერთად ერთი ცოცხალი ძალა—ქემალის ძალა იყო, რომელიც პირდაპირ დაუკავშირდა მოსკოვს, ყოველივე ეს იყო მოსკოვის დიპლომატიის ისტორიული გამარჯვება. ამას გარდა მოსკოვმა ძირში დენიკინის და ვრანგელის მთელი ძალა, რისაც მთელი ჩრდილოეთი კავკასია ხელში ჩაიგდო.

განა ასეთს კონკრეტიულ პირობებში აშკარა არ იყო, რომ ანტანტა ვერაფერს აგვყოფდა, რომ ანტანტაზე იმედის დამყარება ქვეყნის დაღუპვა იყო?

თუ ყველაფერი ეს ხდებოდა ანტანტის სურვილით—ასეთ შემთხვევაში საქართველოს არავითარი უფლება არ ქონდა ანტანტასთან დაკავშირებისა; თუ ყოველივე ეს ხდებოდა ანტანტის უძლეურებით—არც ამ პირობებში შეიძლებოდა ანტანტასთან კავშირი.

ერთი სიტყვით ანტანტასთან კავშირი იყო აშკარა ავანტიურა, ქვეყნის ბედის უნებლიეთ დაღუპვა... ჩვენ ... ვხედავდით, ამასაც ვამხილდით, ვაფრთხილებდით საქართველოს მთავრობას.

მენშევიკების სიბრძნეზე არავითარი მოსაზრება არ ახდენდა გავლენას.

მდგომარეობა ძალას უნდა გამოერკვია, ხმალი იჭრებოდა ჩვენს ცხოვრებაში, ომის სუნი დგებოდა.

შეგვეძლო თუ არა ჩვენ ომი? ვიყავით თუ არა ომისათვის მზად?

უნდა კატეგორიულად გაუწყოთ, ამხანაგებო, საქართველო სისტემატიურად ომობდა ხან აზერბეიჯანთან, ხან სომხეთთან, ხან ოსმალეთთან, მაგრამ რამდენადაც არ უნდა იყოს ეროვნული გრძნობისათვის „საწყენი“, უნდა ვაღიაროთ, რომ ომებში მაინცა და მაინც დიდ წარჩინებას ჩვენ ვერ ვიდებდით, რომ ომის იმედები გვქონდა. პირიქით, ყოველთვის ომი სწარმოებდა მუდამ ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენ ძლივს ძლივობით ვახერხებდით თავის დაცვას.

ყოველივე ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ მენშევიკებმა ვერ შეძლეს ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი მილიტარული ორგანიზაციის შექმნა.

თუ ომს ყოველთვის უნდა ვერიდოთ და ომი აუცილებლივ უნდა თავიდან ავიცილოთ თუ ომისათვის არა ვართ მომზადებული თუნდაც სამარცხვინო ზავი იყოს მისაღები.

საბედისწერო მომენტებში ჯიუტობას გრძნობას არავითარი ადგილი არ უნდა ქონდეს. შესანიშნავი „სარდალი—ნაპოლეონი, რომელმაც მთელი ევროპა დაიპყრო, დაღუპა ჯიუტობამ და ომით გატაცებამ.

ბოლშევიკურმა რუსეთმა გერმანიიდან მიიღო სამარცხვინო ზავი ბრესტისა, იმიტომ, რომ ეს იყო ერთად ერთი ნაკლები მძვერპლი მაშინდელს პირობებში. რა დარჩა ბრესტიდან?

შესანიშნავი გინდენბურგი ვერსალს დაემორჩილა, თუმცა ვერსალის ზავი სამარცხვინო იყო არა ერთხელ დადაფნილი გერმანიის ჯარისა და ხალხისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ომის წარმოება სომხეთთან, აზერბეიჯანთან და რუსეთთან იყო აშკარა უაზრობა, საშინელი მოვლენა, ნამდვილი ავანტიურა, ქვეყნისათვის დამღუპველი.

ჩვენ ვფიქრობდით: საჭირო მილიტარული სამზადისი, მაგრამ აუცილებლივ საჭიროა ამავე დროს ორიენტაციის შეცვლა და ზავი რათაც არ უნდა დაჯდეს.

განა ეხლა აშკარა არ არის ყოველივე ეს ყოველივე ეს კიდევ უფრო აშკარა იქნება ხვალ, ზეგ, კიდევ შემდეგ.

ომის სტიქიონი მოდიოდა.

1920 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოცხადდა 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულთა მობილიზაცია.

2 დეკემბერს ერევანში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

3 დეკემბერს საქართველოში სამხედრო მინისტრად დაინიშნა პარმენ ჭიჭინაძე.

9 დეკემბერს ლევრანის მატარებლის მიზეზით აზერბეიჯან რუსეთმა შეწყვიტა ნავთის გზავნა საქართველოში.

11 დეკემბერს ფრონტს ათვალიერებს დეპუტატი ჩხენკელი და აძლევს ნებას თავის „სტრატეგიულ“ ნიჭს.

11 დეკემბერს საქ. დამფუძნებელს კრებაში შეიქმნა დამოუკიდებელთა სოც.-დემ. პარტია-ფრაქცია.

12 დეკემბერს მთელი რკინის გზა, ბორჩალოს მაზრა, ტფილისის მაზრა და ტყიბული გამოცხადდა სამხედრო წესზე, გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბენია ჩხიკვიშვილი.

29 დეკემბერს საქართველო იღებს მეკავშირენის ნოტას ნეიტრალურ ზონის შესახებ.

30 დეკემბერს ნოტებითი ბრძოლაა შეინმან—ქავთარაძისა და საბახტარიშვილისა ვაგონების შესახებ.

1 იანვარს (1921 წელს) საბჭოთა აზერბეიჯანი მოითხოვს დატყვევებულ კომუნისტების განთავისუფლებას.

ამ ასეთს პირობებში დამფუძნებელი კრება მთელს იანვარს ანდომებს სასტიკ ბრძოლებს საშინაო საკითხებზე. 20 იანვრიდან მთელი რესპუბლიკა ზეიმის ალშია გახვეული ანტანტის მიერ საქართველოს „დე იურე“ ცნობის გამო.

1 თებერვალს გენერალ-გუბერნატორის კრიზა დამფუძნებელს კრებაში

1 თებერვალს მენშევიკებმა „ახვევლები“ გარიცხეს პარტიიდან.

სოც.-ფედ. პარტიის ფრაქციას შეაქვს შეკითხვა გენერალ-გუბერნატორის სასახელო მოღვაწეობის შესახებ.

გრძელდება დაუსრულებელი კამათი კონსტიტუციის გარშემო.

11—12 თებერვალს კი ხდება სომხეთის საბჭოთა ჯარის თავდასხმა ბორჩალოში და ჩიტაყლის ლოცვა-კურთხევით განრიგებული ჩვენი ჯარი იღებს საშინელს პირველს დამარცხებას.

გამოგვრჩა: გამოცხადებული მობილიზაცია თითქმის მაშინვე შეაჩერა ჩვენმა მთავრობამ, ხოლო მობილიზაციას სრულიადაც გაირიდა თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო.

უნდა ყოფილიყო თუ არა მთავრობისათვის და ბრძენი დიპლომატიისათვის აშკარა, რომ საქართველოს პრობლემა მეტად რთულს პირობებში მოექცა, რომ საქართველოს წინაღმდეგ მთელი საბჭოთა წყობილება ირაზმებოდა?

— არა ეგ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, თვით დამფუძნებელმა კრებამაც არ იცოდა საქმის მთელი ვითარება.

შავი, ბნელი ღამე იყო. 16 თებერვალი. ღამის 11 1/2 საათზე ტელეფონი გამწარებით რეკს.

რა ამბავია?

— სასწრაფოთ გამოცხადდით დამფუძნებელს კრებაში.

— არც ერთი სხვა სიტყვა.

— 12 საათზე სასწრაფო სხდომაა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთში. საშინელი დაპნეულობაა.

— ჟორდანიას ვეღარ იცნობთ. როგორ იცვლებიან დამიანები, თვალები თითქოს დაკარგულია, აქვეა ჯუღელი, მისი სახე მთელ უბედურებას გამოხატავს. აქვეა გენერალ-გუბერნატორი ჩხიკვიშვილი, ხელში საათი უჭირავს და გაცოფებულ დეპუტატებს ეჩურჩულება: მოკლეთ ილ. პარიკეთ, დეპუტატებისათვის მატარებელი მზად არის, სრულს ორ საათზე გავა თქვენი მატარებელი!

— ჩქარა, მალე, წადით ტფილისიდან... სისტემატიურად ყვირის ჩხიკვიშვილი.

დეპუტატებმა ალაგმეს ჩხიკვიშვილი. ის ჩაჯდა სავარძელში და ძილს მიეცადა დილამდე ამ ისტორიულ ღამეში.

— ნუ თუ არავითარი ხსნა? რა ვქნათ?

— ცხარე კამათია.

— ჟორდანია მოხსენებას აკეთებს, სრული სასოწარკვეთილებაა. რესპუბლიკას არ აღმოაჩნდა არავითარი რეზერვი, ტფილისში არ არის 500 კაციც დასახმარებლად, თუმცა რამიშვილი მუდამ ტრაბახობდა 30 ათასი ტფილისის პროლეტარიატით.

— მოგვაშველეთ სტუდენტები, დარაჯები, მილიციელები, 1000 კაცით შეიძლება საქმის როგორმე გამოსწორება—იძახის გენერალი კვინიტაძე.

რა უნდა გვექნა, რა უნდა გვეთქვა?

— ომი თუ ზავი? ომი ლამაზია, ზავი—ცუდი. ვიბრძოლოთ!—სიყოჩაღე, სიმამაცე, თავგანწირვაა, სასახლოა; ზავი—გამოდის სიმხდალედ, სიგლახეთ..

მე და გერონტი ქიქოძემ განვაცხადეთ ამ პირველს საბედისწერო დახურულს კრებაში დამოუკიდებლივ ერთმანეთისგან, რომ ომის წარმოება ქვეყანას არ შეუძლიან, ეს აღემატება ხალხის ძალას. დიპლომატია, არა წამხდარი და ბეციკი დიპლომატია, არამედ დიპლომატია საქმიანი—აი რა იყო ჩვენი ენა, ჩვენ უნდა ვეძიოთ ახალი გზები...

— პირველ ღამეს არ გამართლდა ჩხიკვიშვილის შიში. ღამით სტუდენტები და დარაჯები გამოეწყო მენშევიკების გარეშე. კვინიტაძემ როგორღაც მოახერხა თავის დახსნა.

ადსანიშნავია: საქართველოს საბედისწერო მომენტში გაჩერდნენ სამხედრო პეროპლანები, არ აღმოჩნდა ელემენტარი მასალები, რომელსაც ჭიჭინაძის სამინისტრო დეკემბერ-იანვრის კამპანიაში მბჭოდან მოელოდა (ამაზე მეტი გათახსირება დიპლომატიის და სამხედრო უწყების არ მოსწევია შტაიურმეისტერ სუხომლინოვის სამინისტროსაც), არ აღმოჩნდა ჯარისათვის ამუნიცია, სურსათი, თვით კრიზისი დადგა ტყვიაწამლის.

ყოველივე ეს გავიგეთ ჩვენ, დეპუტატებმა, მხოლოდ 15 თებერვლიდან.

დღესვე ირკვევა, რომ ჩვენი საგანგებო რაზმების ავტომობილებით მოწინააღმდეგენი თვითონ იღებდნენ სამხედრო მასალას, ხოლო ლაპარაკი ჰქონდით იტალიიდან მიღებულ პეროპლანების გაყიდვაზე.

გამოირკვა, რომ სოჭის ფრონტს გარდა არ არის გამაგრებული საქართველოს დაცვის არც ერთი პუნქტი. მთელს სოჭის ფრონტზე ჩვენი ჯარი არ აღემატებოდა 500 კაცს, რომელნიც ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ რომლის ზურგში ორასი კაციც არ იყო.

გამოირკვა, რომ თვით შიდა საქართველო, რომელიც წარმოადგენს მთელს ბუნებრივ სიმაგრეს, არც ერთი ეს კლდე სიმაგრე არ იყო ხელოვნურად მოწყობილი. თვით სურამის ქედი, რომლითაც მთელი იმერეთი თავს იფარებდა თათრების და სხვა მტრების შემოსევიდან წარმოადგენდა ზამთარში, როცა ერთ ნახევარი ადლაბი თოვლი ედო მთას ფაქტიურად ღია გზას, რომელსაც რამდენიმე საათში გადაივლის ცხენოსანი ჯარი.

ერთი სიტყვით, გამოირკვა მენშევიკური სამხედრო ორგანიზაციის სრული სიკოტრე, ისტორიული კატასტროფა.

საბედისწერო მომენტებში ყოველ სარდალს, ყოველ მეომარ მხარეს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს მოვლენათა მთელი კომპლექსი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ომის მსვლელობაზე.

ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბოლშევიკური ჯარი იყო რსებითად რევოლიუციონური ჯარი. აი ამაშია უდიდესი ძალა ბოლშევიკური ჯარისა. პირდაპირ კანონად უნდა ვაღიაროთ: კარგად შეიარაღებული ბურჟუაზიული ჯარი შედარებით ცუდად შეიარაღებულ ჯარზე სუსტია. რევოლიუციონურ ჯარის წინააღმდეგ სთანადოთ არ იბრძვის არარევოლიუციონური ჯარი.

ეს ჩვენთვის კანონია. საფრანგეთის კონსტიტუციამ 1793 წ. გამოაცხადა, რომ ის არ შეეხება არც ერთი ერის, არც ერთი ქვეყნის დამოუკიდებლობას, რომ იგი არ ჩაერევა მათ საშინაო საქმეებს.

რევოლიუციონურმა კონსტიტუციამ, როგორც რევოლიუციონურ ჯარზე, ისე სხვა ერებსა და ქვეყნებზე მოახდინა უმაგალითო გავლენა. აპენინის ნახევარ კუნძული, რომელიც იტანჯებოდა როგორც ისპანიის, ავსტრიის, ისე საფრანგეთის ბატონობით ერთბაშად შეიცვალა საფრანგეთის რევოლიუციონურ ჯარის სასარგებლოდ. ისტორიკოსი კარეევი აძლევს ამის ილიუსტრაციისათვის უამრავ ცნობას. პირველად საფრანგეთის ჯარი სარდინიაში შევიდა. გენერალი მონტესკიუ საფრანგეთის სამხედრო მინისტრს სწერდა: „ჩემი ჯარის მსვლელობა ტრიუმფით ხდება. ქალაქის და სოფლის მცხოვრებნი მორბიან ჩვენთან შესახვედრად“. რევოლიუციონური ჯარი გამოჩენილი იყო მხოლოდ საჟოიაში, მაგრამ მთელს სარდინიაში არჩევნები მოხდა და 658 თემიდან 583 თემმა საფრანგეთა დაუჭირა მხარი.

გერმანიის შესახებ ისტორიკოსი სწერს: „გერმანიის რევოლიუციონერები მოუწოდებდნენ ფრანგებს მოხდინათ რეინის მარცხენა მხარის განთავისუფლება და ურჩევდნენ მცხოვრებთ დაემარება აღმოეჩინათ საფრანგეთისათვის. კიუსტინმა—განაგრძობს ისტორიკოსი—ისე ადვილად აიღო სულ მოკლე ვადაში შპეიერი, ვორმსი და მაინცი, რომ თვითონ უკვირდა. ქალაქები—სწერდა ერთი იმ დროის დიპლომატი—უბრძოლველად ეცემიან (сдаются), ხოლო მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია იესო ნავინის საყვირის როლს თამაშობს“.

ბელგიაში 1789 წელს ძველი ტრადიციების ჯაუფია წარმომადგენლებმა ვან-დერ ნოტის მეთაურობით, ხოლო დემოკრატებმა ვონქის მეჩვეურობით მოახდინეს საფრანგეთის ჯარის სასარგებლოდ აჯანყება და მთელი ბელგია დააყენეს საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. როცა აჯანყებულები ავსტრიამ დაამარცხა, ბელგიელი რევოლიუციონერები გაიქცნენ საფრანგეთში და საფრანგეთის ჯარებით წამოვიდნენ ბელგიაში, სადაც ქალაქები ერთი მეორეზე გადადიოდნენ ფრანგების მხარეს. ამ ქალაქებში ერთი ეპისკოპოსის ქალაქიც იყოო“—გადმოგვცემს ისტორიკოსი.

1794 წელს პარიზში არსებობდა ჰოლანდიელთა რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც საფრანგეთის ჯართან ერთად შევიდა სამშობლოში და დაარსეს ბატავიის რესპუბლიკა.

ასეთივე ამბავი მოხდა შვეიცარიაში, პოლონეთში, ასეთივე სულიერი განწყობილება იყო ირლანდიაში, ყველგან.

ამხანაგებო, რისთვის გაიქცა დესპერეს მრავალრიცხოვანი ჯარი ბელგიიდან? გაიქცა იმიტომ, რომ საფრანგეთის ჯარი არ დასთანხმდა ბოლშევიკურ ჯართან ბრძოლას.

რისთვის არ იბრძვის დღეს ანტანტა ჯარით ბოლშევიკების ჯარის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ ბოლშევიკური ჯარის რევოლიუციონური განწყობილება ტანკებზე ძლიერია, იგი არღვევს ანტანტის ჯარების პსიხოლოგიას.

ნუ თუ ამ ფაქტებისათვის ანგარიში არ უნდა გაეწია ჩვენს მხედრობას, ჩვენს მთავრობას?

ამხანაგებო, ამ რეალურს პირობებში რას გვავალებდა ჩვენ ეროვნული ნამუსი, ეროვნული სინიდისი, ეროვნული ინტერესები? რა უნდა გვექნა?

ომი უნდა გვეყვირა თუ ზავი?

აღნიშნულს პირობებში ომის ძახილი ლამაზი იყო, რაინდობა იყო, სიყოჩაღე იყო, მაგრამ მამულის სასიცოცხლო ინტერესები ლამაზ სიტყვებს კი არ საჭიროებდა, არამედ სასარგებლო საქმეებს.

ისტორიულ ღამეს ჩვენ ზავის იდეა წამოვაყენეთ.

ჩვენ ვიცოდით უდიდეს სარგებლობას მხოლოდ ზავი მოგვიტანდა, ვიცოდით, რომ მენშევიკურ ორგანიზაციაში ჩვენი გმირი ხალხი ტყუილ-უბრალოდ გაიჟლიტებოდა, ჩვენ ვიცოდით ომის ძახილი ნიშნავდა ნამდვილ პროვოკაციას ჩვენი ხალხის მიმართ, რომელსაც უიარაღოთ, უმასალოთ, თოვლში ფეხშიშველებს ომის ცეცხლში მივცემდით.

განა გვქონდა ამის უფლება?

ჩვენ კიდევ გვახსოვდა ჩვენისთანა პატარა ერების სურვილები ომისათვის, ვიცოდით ჩვენისთანა პატარა ხალხის გაცილებით უკეთეს პირობებში ომის ისტორია. მე მოგახსენებ ბურების შესანიშნავს ბრძოლაზე.

გენერალი მეიერი, ბურების მეთაურობის წევრი, გაუყოფო ომის შესახებ აი რას ამბობდა: „რა უპირატესობას მოგვცემს ომი?—კითხულობს ხალხის ნამდვილი პატრიოტი—რას გვეტყვის შთამომავლობა თუ ომი გაგრძელებით ყველაფერი დავკარგეთ? ისინი იტყვიან: ჩვენი მამები იყვნენ გმირები, მაგრამ მათ გონიერება აკლდათო: თუ ჩვენ ომს შევწყვეტთ იმათ შეუძლიან გვითხრას „ჩვენმა მამებმა იბრძოლეს არა მარტო თავის კერძო პატივმოყვარეობისათვისო“.

ბურების დელეგაცია იყო კრიუგერის მეთაურობით ევროპაში, რომელსაც ევროპის ვიგინდარა მთავრობანი ატყუებდნენ. იმავე კრებაზე გენერალი ბოტა ამბობდა: „რა მოვიგეთ ჩვენ 1901 წლის ივნისიდან? ჩვენ ისე შორს წავედით უკან, რომ თუ ასე შემცირდა ჩვენი ხალხი შეიძლება თავისთავად დამთავრდეს ომი. ამ წლის განმავლობაში საკონცენტრაციო ბანაკში 20 ათასი ქალი და ბავშვი დაიხოცა“.

მოუსმინეთ კიდევ ვილსონ პრეზიდენტს ბიუროკრატს, რომელიც ზავს ეძახოდა. ზავით „ჩვენ იმედი გვაქვს ისევე გვყვავდეთ, როგორც მოზარდი ბავშვი წინამდეგ შემთხვევაში — დ ვიღუპებით, მოსპერით ხელის ისევ აყვავდება, მაგრამ ამოთხ რით—გი სამუდამოთ გახმება. ნუ თუ ჩვენ ხალხი იმდენ ღირს, რომ მოვსპოთ იგი?“

ამხანაგებო, ჩვენ ვიყავით გაცილებით უარეს პირობებში, ვიდრე ბურები. ყოველი ბურელი დაეთანხმა არა გრძნობას, არამედ გონებას. ჩვენ რა უნდა გვექნა, გრძნობას აჰყოლოდით, თუ გონებას?

ჟორდანია იძახოდა: ბრძოლა სვანეთის ქედამდე!

ჩვენ განვაცხადეთ: თუ ტფილისს ვერ დაიცავთ—მოითხოვეთ ზავი!

ვინ გაამართლა ისტორიამ?

ჟორდანია რომ ომს მოითხოვდა უბრალო ტყვია წამალი არსებობდა ამისათვის?

მენშევიკური მთავრობა ზარბაზნებს მოელოდა სტამბოლიდან ჩვენ გვწამდა: გაიძვერა ევროპას ვერ დაუჯერებთ, და ნუ თუ შეიძლება ეს ფუჭილო იმედით ხალხის ხოცვა და ქონების რბევა? ევროპამ მართლა მოგვატყუა, აქაც გამართლდა ჩვენი აზრი.

ნუ თუ ჩვენ უფლება გვაქვს უდიერად მოვეპყრათ ხალხის სისხლს და ხალხის ქონებას?

ნუ თუ ხალხს უნდა უაზროდ დაუდგათ სახლში კუბო, ხოლო ეზო კი გაუპარტახოთ, პირუტყვი დაუკლათ, საკუთარი ს ყური დაუბმ? ხსნამ დ უცალიეროთ?

— შეუძლებელია!

25 თებერვლისათვის ტფილისი დაეცა. ვინაც უნდოდა დეპუტატთაგანს— დარჩებოდა ტფილისში.

ჩვენ დავრჩით არა, როგორც უბრალო ტომარა, არამედ იმ აზრით, რომ თუ მენშევიკების მხრივ ვერ შევძელით ზავი, ვინძლო ეს მოხერხდეს ბოლშევიკების მხრივ.

(შემდეგი იქნება).

# ჩვენ გავიმარჯვებთ

დიდის ხალისით, სიდინჯით და საქმის დაკვირვებით დაიწყო მუშაობა პარტიულ ყრილობამ. დელეგატებს არ ახასიათებს გრძნობით გატაცება, მსჯელობაში უნიადაგო ზედაპირულობა. მათი სიტყვა მკაცრი კრიტიკაა, დადებითი კრიტიკა ყველა იმ ნაბიჯების, რომელიც გადადგმული აქვთ მათ და მათ ხელმძღვანელ ორგანოს პარტიულ მუშაობის სფეროში. აზრის სიცხადე, მუშაობის სიცხოველე, ლოღიკა,—აი რა ახასიათებს I ყრილობას. ეს ერთად ერთი სწორი პირობაა ნაყოფიერ მუშაობის სასურველად დაგვირგვინებისა.

ჩვენს პარტიულს ისტორიაში ყრილობა ახალი მოვლენაა. დღემდე კონფერენციების და ფედერალ საბჭოების მოწვევით განისაზღვრებოდა პარტიულ უმაღლეს ორგანოებს მოქმედება იმ შემთხვევაში, როდესაც რთული და მეტად მძიმე მომენტები დადგებოდა მთელი ერის, ან პარტიულ ცხოვრებაში. ჩვენი წინაპრები არ სცნობდნენ საჭიროდ მოეხდინათ სრული გადასინჯვა, ანალიზი მათი ნამოქმედარის, სახელმძღვანელო პრინციპების, რეალ პირობების განვითარების თანაბრად და პარალელად გარდაექმნათ ძირითადი დებულებები, ოდესღაც თავის დროზე სადი და მისაღები, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების შეუფერებელი და პარტიისთვის მიუღებელი. ამას გაურბოდნენ ისინი გაურბოდნენ იმიტომ კი არა, რომ არ იცოდნენ ყოველივე ეს. არა, იცოდნენ, ჰქონდათ ათვისებული მოვლენათა ცვალებადობა, მასთან მიხედვით პოლიტიკური და პარტიული გზის წარმოების საჭიროება, მაგრამ ძველ ტრადიციებს ძველ აზრებსა და კაბინეტურ მუშაობას ვერ გასცილდნენ ისინი. აქედან იწყება მთელი მათი ტრაგედია... უტაქტობაში, დროისა და გარემოების შეუფერებელ მოქმედებაში უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ ასპარეზიდან განდევნა, გარიყვა არა მარტო ჩვენი „ამხანაგების“, არამედ ყოველი პარტიების და ჯგუფების.

ჩვენი ყრილობა სულ სხვა ხასიათის და ბუნებისაა. იგი ნამდვილი რევიზიაა, მიუდგომელი მსაჯული ჩვენი წარსულისა და აწმყოსი. ყრილობა ამბობს გადამჭრელ სიტყვას იმაზე, თუ რანი ვიყავით გუშინ, რა ვართ დღეს და როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ დროთა შემდეგ მსვლელობაში. აწმყოსი წარსულით შეფასება და მომავლის აწმყოს საშუალებით განსჯა, გათვალისწინება, უმთავრესად: ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა პარტიულ რყევის, პოლიტიკურ ქანაობის,—აი რა შეადგენს ყრილობის მიზანს, საითკენ არის მიმართული მისი გულისყური, ყურადღების მთელი სიმძიმე.

ძნელია სისწორით აღნუსხვა ყრილობის მუშაობის რეზულტატების, მაგრამ ეს კი აშკარაა და ცხადზე უცხადესი, რომ დღეს ყრილობა ოქროს ასოებით სწერს წითელ წიგნს, სასახელო ფურცლებს ჰმატებს პარტიულ ისტორიას.

როგორც პირველი, პირველი ცდა პრინციპიალ და ტაქტიკურ საკითხების ამოწურვას, ყრილობა შეიძლება ვერ ასცდეს, თავი ვერ დააღწიოს შეცდომებს, ე. ი. ერთის დაკვრით ვერ მოიშოროს ის მძიმე ტვირთი, რომელსაც მთელი წლების განმავლობაში ქმნიდნენ ჩვენი ძველი მესვეურები. ეს შესაძლოა, რადგან შეუძლებელია არც ერთი მოქმედი, აქტიური არსების შეცდომების გარეშე წარმოდგენა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყრილობა გამსჭვალულია საქმის ინტერესით, შეპყრობილია მტკიცე ნებით და მუშაობის სურვილით, ამთავითვე იძლევა იმის გარანტიას, რომ სამომავლოდ გამონახული იქნება სწორი გზა, მტკიცე, ურყევი პარტიული პოლიტიკა ჩამოქნილი და, ამრიგად, ყრილობის მთავარი დანიშნულება ბრწყინვალედ შესრულებული. დიახ, ყრილობის სურათი ჩვენში იწვევს და აძლიერებს იმ რწმენას, იმის პირობებს, რომ მომავალი ჩვენს ხელთ არის, ჩვენ გავიმარჯვებთ..

გ. მუშიშვილი.

# ახალი ამბები

— საბჭოთა მეურნეობის სადახლოს სახალხო ძვირფასი მამულებისათვის ინვენტარის შესაძენად სამიწადმოქმედო სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გადასდო 20,750 000 მანეთი.

— კავკასიის ცხოველთა აკლიმატიზაციის საზოგადოებამ მიმართა თხოვნით სახალხო სამიწადმოქმედო კომისარიატს გამოყოს მის სასარგებლოდ ორი მიწის ფართი ზოოლოგიური ბაღის აკლიმატიზაციის მოსაწყობად.

# რუსეთი

**პეტროგრადი.** ოქტ. 31. ფინეთის საზღვარზე შემოვიდა სამი ორთქმავალი დატვირთული რუსეთისათვის შეძენილი ეს პირველი ორთქმავალია ჩამოსული ხმელეთით. ამას გარდა ჩამოვიდა 32 ვაგონი ფინეთის ქაღალდი.

— პეტროგრადში ჩამოვიდნენ უცხოეთის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი და მათ შორის „ნიუიორკ-ჰერალდის“ კორესპონდენტი.

**ოდესა.** ოქტ. 30. ბანდიტიზმი თანდათანობით მცირდება. გლეხები თვით უსწორდებიან ბანდიტებს.

**პეტროგრადი.** ოქტ. 28. ხელახალ არჩევნების დროს პეტროგრადის საბჭოში აირჩიეს 958 დეპუტატი, მათ შორის 775 კომუნისტია, 180 უპარტიო და 1 მენშევიკი.

**მოსკოვი** ოქტომბრის 29 კავკავში თავი მოიყარა 15,000 გამოქცეულმა დამშეულ რაიონებიდან; პრავდას ცნობით მათი მდგომარეობა აუტანელია. იყო რამდენიმე შემთხვევა სიკვდილით შიმშილისა. ბავშვებს შორის 40-პროც. კვდება. კავკავში გაგზავნილია სამედიცინო საკვები მატარებელი.

**მოსკოვი** ს. რ. ც. აღ. კ. პრეზიდიუმის დადგენილობით ყველა წარმოება, რომელიც 17 მაისიდან 1921 წ. გადასულია სახელმწიფოს ორგანოების მართველობის ქვეშ გამოცხადებული იქმნას ნაციონალიურად.

**მოსკოვი** ოქტომბრის 30 პარიზიდან იუწყებიან, რომ გაქცეულ რუსებს მდგომარეობა კონსტანტინეპოლში მეტად გაჭირვებულია.

**მოსკოვი** ოქტომბრის 30 რამდენიმე სოფლებში გაიხსნა სასოფლო სამეურნეო გუბერკო. გლეხები სიამოვნებით ეწერებიან, რომ შეისწავლონ გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა.

# შალვა ტურაბელიძეს

**სამუდამო ტირილი დაღუპულ მეგობარზედ.**

სულში დარდი მყუდროობს
ცრემლებით აჭარგული,
დაკარგული უდროოდ,
უდროოდ დაკარგული!.

სავსე არის ფიქრები
დაღუპულის ჩვენებით
სახე განაფითრები
მოვა სვენებ-სვენებით.

იყო გაწვალებული
სული ანატირალი
თვალებ გამწვანებული,
ვით ზაფხულის მდინარე.

შორეული საკრავის
აწამებდა ჰანგები,
დასდევდა გულსაკლავი
ხმები უცნობ განგების.

სევდიანი მღეროდა:
„თუ ასეა —წავალ შორს!“
მჭკნარ იების ჩეროდან
დავიტირებ დანაშორს...

გიგონებს სოლანლუხი
და ფორტი „კახაბერი“,
მწუხარების შაფერო
ყვითელი ახალუხით.

ვით ავხორცი ტაისი.
მარგალიტის ქამარით.
გიყვარდა ქუთაისი
და იქა გაქვს სამარე...

ცრემლებით აჭარგული
სულში დარდი მყუდროობს.
უდროოდ დაკარგული,
დაკარგული უდროოდ!..

ლევან ასათიანი.

# უცხოეთი

**პარიზი,** 31 ოქ. ორშაბათს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ბრიანი მიემგზავრება ნიუიორკში და იქიდან ვაშინგტონის კონფერენციაზე. ბრიანთან ერთად მიდის ვივიანიც და სხვა საფრანგეთის დელეგაციის წევრებიც, კონფერენციაზე დასასწრებლად.

**ლონდონი.** 31 ოქ. ლონდონის პრესის აზრით ამერიკა სიამოვნებით მიიღებს ბრიანს, ვინაიდან ეხლა ამერიკისა და საფრანგეთ შორის დამყარებულია მჭიდრო მეგობრული კავშირი გაზეთს მოჰყავს ბრიანის აზრი შესახებ ვაშინგტონის კონფერენციისა, რომელიც ფიქრობს, რომ ვაშინგტონის კონფერენცია იქნება წარმატებული და რომ საფრანგეთი დაუზარებლად შესძლებს შეამციროს თავისი სამხედრო ხარჯები და შეიარაღება ევროპაში სახელდობრ პოლიტიკური წონასწორობის დასადგენათ.

**ნიუიორკი** 30 ოქ. ვაშინგტონში ჩამოვიდა მარშალი ფოში, რომელსაც ნიუიორკში ზეიმით შეხვდნენ პრეზიდენტი გარდინგმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა საფრანგეთისა და ამერიკის მეგობრული განწყობილება. თეთრს სახლში მოაწყვეს საზეიმო სადილი ფოშის პატივსაცემლად.

**ლონდონი** 31 ოქ. ლოიდ-ჯორჯი პარასკევს მიემგზავრება ვაშინგტონის კონფერენციაზე დასასწრებლად მიუხედავად ინგლისის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის სირთულისა.

**პარიზი.** ოქტომბრის 31-ს გაზეთი „ეკლერი“ პროტესტს აცხადებს „წინააღმდეგ იმ ბრალდებისა, რომელიც სდებდნენ საფრანგეთს ჰამბურგთა ავანტიური ხელის შეწყობაში. გაზეთის აზრით კარლოსი არასოდეს არ ყოფილა ფრანგოფილი ცდა ტახტის დაბრუნებისა მომზადებული იყო პანგერმანისტების მონაწილეობით ლუდენდორფის და ბაიერის მეთაურობით.

**ნაუენი.** ოქტომბრის 31-ს გერმანოპოლონურ საექსპორტო კომისიის თათბირზე პოლონეთან ეკონომიური შეთანხმების მოსაწყობათ არჩეულია რამდენიმე კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს მთელი წყება მნიშვნელოვანი კითხვები ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათისა.

**პეტროგრადი** ოქტომბრის 28 ვენაში სიძვირის თანდათანობით გაძლიერებისა გამო მოხდა დიდი დემონსტრაცია. მრავალ რიცხოვანი ბრბო მიადგა პარლამენტს, ფინანსთა მინისტრმა განუცხადა მათ, რომ მთავრობა უძლურია ხალხისათვის იაფად პურის მიწოდებაში დემონსტრანტები ამ სიტყვებმა ისეთს აღშფოთებაში შეიყვანა, რომ მიმართეს ძალადობას და ხცემეს შეძლებულ კლასების წარმომადგენლებს.

**პარიზი.** 29 ოქტ. ჩიკაგოში ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. მოსამსახურეებმა და მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება. მუშების ასეთი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქმნა, რამაც გაფიცვა გამოიწვია. ხოლო ფონდის უქონლობისა გამო მუშებს მალე მოუხდათ გაფიცვის უარყოფა.

**ბერლინი.** ერთმა იაპონიის წარმომადგენელმა „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონიას აზრი აქვს გაატაროს ცხოვრებაში თავისი გულწრფელი გადაწყვეტილება მშვიდობიანობის დაცვისა.

**ვარშავა.** 15 ოქტომბერი ვარშავაში მოხდა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია წინააღმდეგ მთავრობისა სამუშაო დღის გადიდების განზრახვისათვის.

**ლონდონი,** 14 ოქტ. უმუშევართა დემონსტრაციის დროს ლონდონში მუშათა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა.

**მოსკოვი.** რომის ახალგაზრდობამ შეაგროვა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ მუშათა შორის 6000 ლირა.

# დეკრეტი № 76

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი სცნობს რა აუცილებლად,—ვიდრე სახალხო მოსამართლეთა საბჭო მოეწყობოდეს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს დებულებით,—დაარსებულ იქნეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ... მეთა დასამთავრებლად.—ადგენს:

1. დაარსდეს სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და ოთხი მუდმივი წევრისაგან.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს ჰნიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წარდგენით, როგორც რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან, ისე იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ სახალხო მოსამართლედ არჩევისათვის საჭირო მოთხოვნილებას.

3 გარდა იმ წესისა, რომელიც—გამონაკლისის სახით—წინა მუხლშია აღნიშნული, სახალხო მოსამართლეთა დროებით საბჭოს მოწყობისა და მისი მოქმედების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების მე III განყოფილება.

4. სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები შეიძლება ხელახლად არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლეთა საბჭოში სახალხო მოსამართლეთა ყრილობისაგან და დამტკიცებულ—საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ.

5. სახალხო მოსამართლეთა მუდმივ საბჭოს შედგენილობის არჩევის შემდეგ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო უქმდება იუსტიციის სახალხო კომისარის ბრძანებით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ხ. ქავთარაძე.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე ბრონდსკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

# დეკრეტი № 77

საქართველოს სოც საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ქალ. ბათუმში საზღვაო სკოლის დაარსების შესახებ.

1. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებით დაარსებულ იქნეს ქალაქ ბათუმში საზღვაო სკოლა.

2. სკოლის შტატისა, დებულებისა და პროგრამის შემუშავება დაევალოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალკომისარიატს.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ხ. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის „28“

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—ცენ. მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული მოწმობა № 3620 გიორგი დიმიტრის ძე ზედგინიძემ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 54

# საქართველოს ფ.-ტ. კომისარიატი აცხადებს

რომ 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში (ტფილისის ქუჩა) ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ქუთაის-ონსა-ქუთაის-ხონის შორის და ქუთაისის ფ.-ტ. კანტორიდან სადგურამდე და უკან ფოსტების გადაზიდვის იჯარით გასაცემად. უკანასკნელ პუნქტებ შორის ფოსტის გადაზიდვის ამლებს დაევალება აგრეთვე ქალაქში საფოსტო ყუთების გაწმენდა.

ხონისა და ონის მიმართულებით გაგზავნება (უკან დაბრუნებით) ფოსტა-კვირაში ორჯერ, მხოლოდ ქუთაის სადგურ შორის იქნება გადაზიდული ყოველ დღე.

ამღებთ შეუძლია ფოსტა გადაზიდოს როგორც ცხენებით ისე ავტომობილებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გირაოს წარმოდგენა ფულად ან უძრავი ქონების საბუთებით. განცხადება იჯარის აღების შესახებ მიიღება ფ.-ტ. კომისარიატში, და აგრეთვე ქუთაისის, ხონის, ონის, ცაგერის, ალპანის, მექვენის, ლაილაშის, ჭრებალოს და ცესის. ფ. ტ. დაწესებულებებში.

ფ.-ტ. სახკომისრის მოად. მაგ. წერეთელი,
განყოფ. გამგე ცაგარეიშვილი.